№ 207

ხუთშაბათი, 28 სექტემბერი 1895

1877—1895

# ივერია

№ 207

ხუთშაბათი, 28 სექტემბერი 1895

გაზეთი ღირს:

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 70 |
| 9 | 8 — | 3 | 3 55 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

რედაქცია: ნიკოლოოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ რედაქციის და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ—16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი№ 227

**სასწავლებელი პანსიონით სტ. ხოჯიავანოვისა.**

დაარსებულია კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის ნება-რთვით; ამზადებს ბავშვებს გიმნაზიისა, პროგიმნაზიისა, სამოქალაქო და სასულიერო სასწავლებლების პირველი კლასებისათვის. ფასები საშუალოა.

ქუთაისში. ტფილისის ქუჩა, დადიანის ქუჩის შესახვევში, ხოჯივანოვის სახლი.

(3—1887—2).

**ს უ რ ა თ ე ბ ი**

მეფე ერეკლე მეორისა, შოთა რუსთაველისა, ილია ჭავჭავაძისა, რაფაელ ერისთავისა და ეგნატე ნინოშვილისა

ი ს ყ ი დ ე ბ ი ა ნ:

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა“ და წიგნების გამომცემელ ამხანაგობის მაღაზიებში და გიორგი დემუროვის ლიტოგრაფიაში, განოვსკის ქუჩაზედ.

ფ ა ს ე ბ ი:

კარდონზე: მეფე ერეკლესი, ილია ჭავჭავაძისა და რაფაელ ერისთავის სურათები ექვს-ექვსი შაურია, შოთა რუსთაველისა და ეგნატე ნინოშვილისა ხუთ-ხუთი შაური. ილია ჭავჭავაძის სურათი თხელ ქაღალდზე ღირს ხუთი შაური. ნინოშვილისა—სამი შაური, რუსთაველისა, ერისთავისა და ერეკლეს სურათები თითო აბაზი.

**კაბინეტი კბილის ექიმთა**

**ვ. ი. ჯიჯინაძისა და ქ-ნის ძს. დ. ილარიონოვისა.**

მიხეილ. ქუჩა, სახლი კრაუზესი, 79.

ავადმყოფებს მიიღებენ დილის 9—5 და საღამოს 4—7 საათამდე.

**ვ ე ქ ი ლ ო ბ**

ყოველ გვარს **სასამართლო საქმეს**, როგორც სამოქალაქოს, ისე სისხლის სამართლისას, ვწერ ყოველ გვარს არზებს, ვტვირთულობ აგრეთვე **მამულების ბანკებში დაგირავებას.**

მსურველთ მოჰყმართონ დილის 8—10 საათამდე და საღამოს 6—8 საათამდე.

ოქრომჭედლების ქუჩა, სახლი პაპოვისა, № 30, იკითხეთ ა. მ. ახნაზაროვი.

**ქ რ თ უ ლ ი თ ე ა ტ რ ი.**

პარასკევს, 29 სექტემბერს, 1895 წ.

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასისაგან წარმოდგენილი იქნება

ქ. ავალიშვილისა, ბ-ნ ვ. აბაშიძის მონაწილეობითა და ქ.-ქ. ბეზირგანოვისა და ნ. ჩხეიძის სადებიუტოდ.

## გორკილი.

კომედია 4 მოქმ. თ. სუმბათაშვილისა.

II

პ. ყიფიანის სადებიუტოდ ვ. აბაშიძისა და კ. ყიფიანის მონაწილეობით

## ბ ა ი ყ უ შ ი.

ვოდევილი 2 მოქმ. ა. ცაგარლისა.

მონაწილეობას ღებულობენ: ავალოვისა, ჩერქეზიშვილისა, ნ. ჩხეიძისა, მძინარიშვილისა, ბ. ბეზირგანოვისა და სხვ. ბ-ნნი აბაშიძე, ყიფიანი, გუნია, სვიმონიძე, გედევანოვი, კანდელაკი, ადამიძე და სხვ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

მოწაფეებისათვის ადგილები ლოჟების უკან 65 კაპ.

დასაწყისი სწორედ 8 საათზედ.

მზადდება წარმოსადგენად; „იაკობელები ანუ სამეფო ტახტისათვის“, დრამა 5 მოქმ. ფ. კოპპესი.

რეჟისორი ვ. ალექსი-მესხიშვილი.

## ტფილისი, 28 სექტემბერი.

ჩვენ მოგვივიდა „წესდების პროექტი და წერილი ოძისში სამეურნეო სასწავლებლის დაარსების შესახებ“, შედგენილი აგრონომის მ. მორბედაძის მიერ. ეს საგანი დიდად საყურადღებოა ჩვენის საზოგადოებისათვის და ამიტომ საჭიროდ ვრაცხთ ცოტათი მაინც გავაცნოთ მკითხველთ ბ-ნ მორბედაძის წერილი და მოვიყვანოთ ზოგიერთი ჩვენი შენიშვნაც. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ სპეციალისტები და მცოდნე პირნიც უთუოდ გამოსთქმენ თავისს აზრს და მით დაეხმარებიან ქართველ თავად-აზნაურობას ამ ძნელსა და ფრიად მნიშვნელოვანს საქმეში.

თავდაპირველად ბ-ნი მორბედაძე აღნიშნავს იმ ეკონომიურს კრიზისს, რომელშიაც ჩავარდა ჩვენი თავად-აზნაურობა ცხოვრების ახალ პირობათა გამო. ავტორი სამართლიანად ამბობს, რომ ახალმა ცხოვრებამ დაჰბადა ბევრი ახალი მოთხოვნილება, რომლის დაკმაყოფილება აღარ შეუძლია დაუძლურებულს მიწას, რომ ეს მიწა, ერთად-ერთი მრჩენელი ჩვენის თავად-აზნაურობისა, თან-და-თან სხვის ხელში გადადის, რომ მიწის შემოსავალი ველარ ჰფარავს ბევრსა და საჭირო ხარჯს და სხვა.

თუ მიწა ერთად-ერთი ეკონომიური ძალა და სალსარია დღეს, ცხადია, რომ საჭიროა ამ მიწის შენახვა, საჭიროა საქმე ისე მოიწყოს, რომ მიწა-წყალი შეირჩინოს პატრონმა. ხოლო ამ საქმის მოწყობა მაშინ შეიძლება, როდესაც მიწის მფლობელობა, მიწის მოვლა-მუშაობა პატრონს ხეირს, სარგებლობას აძლევს, როდესაც მისი შემოსავალი აკმაყოფილებს პატრონის მოთხოვნილებათა და საჭიროებას. თუ დღეს მიწა ამ დანიშნულებას ვერ ასრულებს, ეს იმიტომ არის, რომ ჩვენმა თავად-აზნაურობამ არ იცის მიწის სარგებლობა, არ იცის როგორ გააძლიეროს მიწის წარმოებითი ძალა. ამისათვის-კი საჭიროა ცოდნა, „ცოდნა ახალი, აღბეჭდილი მეცნიერებით, რომელიც არ მოეპოვება ჩვენს თავად-აზნაურობას და რომელიც მან უთუოდ უნდა შეიძინოს“.

ჩვენს მეურნეს ორი რამ დარჩენია: ან უნდა შეიარაღდეს ცოდნითა და მეცნიერებით და ისე ამუშაოს მიწა, ან ძველებურად, მამაპაპურად, იმეურნეოს და მიწა-წყალი ხელიდგან არ გაუშვას. თავისის ეკონომიურის მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის თავად-აზნაურობამ უნდა მიაქციოს ყურადღება მიწას, ისე მოაწყოს მიწის მოვლა-მუშაობა, რომ მიწა ახლანდელსავით ზარალს-კი არა, სარგებლობას იძლეოდეს და სხვის ხელში არ გადადიოდეს, ხოლო ამისთვის საჭირო არის სამეურნეო პრაქტიკული და თეორიული ცოდნა-განათლება.

ბ-ნმა მორბედაძემ ყველასათვის კარგად ცნობილი ფაქტი აღნიშნა, ფაქტი ჩვენის მეურნეობის დაქვეითებისა, ხოლო ამ დაქვეითების მიზეზს ის გაკვრით შეეხო. უეჭველია ამ კრიზისის მიზეზები უფრო ღრმაა, უფრო დიდია, მაგრამ ისიც უეჭველია, რომ სამეურნეო ცოდნა და ტეხნიკა საქმეს ძალიან უშველიან და ამიტომ წერილის ავტორი სრულიად მართალია, როდესაც თავად-აზნაურობას სამეურნეო განათლებაზედ უთითებს, როგორც ერთ აუცილებლად საჭირო წამალსა და საშუალებაზედ.

ბ. მორბედაძის წერილის ამ ნაწილის შესახებ ჩვენ აღვნიშნავთ გაკვრით მხოლოდ ერთს გარემოებას. ავტორი იხსენიებს მხოლოდ იმ კრიზისს, რომელშიაც ჩავარდნილია ჩვენის თავად-აზნაურობის მეურნეობა, მაშინ როდესაც ყოველივე, რასაც ის ამბობს თავად-აზნაურობის შესახებ, ითქმის საზოგადოდ ჩვენის მიწათ-მოქმედის შესახებაც. ჩვენის ქვეყნის ეკონომიური წარმატების ბედ-იღბალი მარტო წვრილ თავად-აზნაურობას-კი არ უჭირავს ხელში, არამედ გლეხობასაც—გლეხობას უმთავრესად; ახალმა ცხოვრებამ მარტო თავად აზნაურობის მეურნეობა-კი არ დააქვეითა, არამედ გლეხობისაც; მიწის შემოსავალი მარტო თავად-აზნაურობის მოთხოვნილებასა და საჭიროებას-კი არა ჰყოფნის, გლეხობის მოთხოვნილებანიც დაუკმაყოფილებელი რჩება: მარტო თავად-აზნაურობისათვის-კი არ არის საჭირო მიწის წარმოებითი ძალის გაძლიერება, არამედ საზოგადოდ მიწათ-მოქმედისათვის და ამიტომ სამეურნეო სწავლა-განითლებაც სჭირია ყველა მიწათ-მოქმედთ და არა მარტო თავად-აზნაურობას! ეს ბ. მორბედაძემაც იცის, რასაკვირველია, და ამი-

## ფელეტონი

### საბრალო დარეჯანი.

სურათი სოფლის ცხოვრებიდგან.

I

სანო ფაცინაშვილი არ იყო ძალიან შეძლებული გლეხ-კაცი, მაგრამ ასდიოდა როგორც იყო ყოველს გარდასახადს, რადგან როგორც თითონ ისე ცოლიც მხნე დედა-კაცი ჰყავდა და ამასთან ერთი შვილი იმდენად მოსწრებული, რომ მოჯამაგირედ სხვას უდგა. ვენაცვალე ჩემს ბიჭსაო, იტყოდა ხოლმე სანო, ჯერ თხუთმეტის წლისა სულაც არ არის და იმდენს-კი იღებს, რომ ყოველ წლივ ფოსტის ფულსაც მიხდის და შინ მოსახმარადაცა გვრჩებაო. უღელი ხარი ჰყავდა, ერთი მწველელი ძროხა და რამდენიმე ღორი. ხვნა-თესვა ჰქონდა, მებატონემოლალეს კარგად უსწორდებოდა, ცოლი სახლში არ აკლებდა გამრჯელობას, ზრდიდა წვრილ-ფეხს და ჰყიდდა იქვე სოფელში საავარაკოდ მოსულს მდგმურებში; აგრეთვე რძესა და ყველსაც ანარჩუნებდა შვილებს, იმასაც გასასყიდად და ამნაირად სცხოვრობდნენ, რაც-კი შეეფერებოდათ, ტკბილად, ერთმანეთის მოყვარული ცოლ-ქმარნი თავისი წვრილი შვილებით.

ერთს მშვენიერს თიბათვის დილას, როდესაც სანო უკვე წასული იყო მინდორში სამუშაოდ, დარეჯანი, ცოლი ამისი, გავიდა გარეთ, გააღო საღორის კარი და გამოუშვა ღორები, ერთი დედა-ღორი პატარა გოჭებით და ერთიც კარგი ტახი. თუმცა მეტი ჰყავდა საწყალსა, მაგრამ ორი ღორი, თითქმის ერთმანერთზედ, ახლო მეზობელმა მებატონემ მოუკლა შუა ზამთარში, ჩემს ვენახში ნუ შემოდიანო. თუმცა ბევრი ივაგლახეს ცოლმაც და ქმარმაც, მაგრამ რას გააწყობდნენ განრისხებულ მამულის პატრონ მებატონესთან. ეხლა ეს ორი ღორი-ღა დარჩა გოჭებით და ამათ შეჰხარის მთელი ოჯახი. შობაც ამითი უნდა გაითენონ და აღდგომაცა. იქნება რამოდენიმე გოჭის გაყიდვაც მოახერხონ, რომ საბედნიერდღეოთ შვილებს ახალი რამე ჩააცვან, გული არ დაუჩაგრონ.

ეხლაც-კი ამ ფიქრში იყო დარეჯანი, საღორის კარებს რომ უღებდა ღორებს. ღორები დაგეშილებივით გამოცვივდნენ საღორიდგან და მხიარულის ღრუტუნით დაეშვნენ სოფლისაკენ. დარეჯანი შებრუნდა სახლში აკვანში გაღვიძებულ პატარას ამოსაყვანად, ამოიყვანა, დააგორა საბანზედ ცეცხლა-პირას, მისცა ხელში ღვრინჭილის კრიალოსანი სათამაშოდ და შეუდგა დილის საქმესა. სხვა შვილები, უფროსის გარდა, ერთი ბიჭი, ესე თხუთმეტიოდე წლისა, თანა ჰყავდა წაყვანილი მამასა და გოგო-კი, რვაოდე წლისა, უკვე დარბოდა მეზობლის ბავშვებში. დარეჯანმა ჩამოჰგავა სახლი, დარეცხა და დაალაგა წყობისად თაროზედ წუხანდელის ვახშმის ჭურჭელი და მიდგა ქოთნით ლობიო ბუხარში. ამასობაში შუადღემაც მოაწია და თუმცა დილის საუზმე თანა ჰქონდა წაღებული სანოს, მაგრამ სადილს უნდოდა გაგზავნა და თითონაც დანაყრებას აპირებდა. დაღალული ფუსფუსით, პატარა ხანს ჩამოჯდა ტახტზედ და ის იყო ხელები გადისვა გაოფლიანებულს შუბლზედ, რომ უეცრად მოესმა თოფის ხმა.

— უიო! ერთი შეჰკივლა დარეჯანმა, გულში რაღაცა შიშის ზარმა გაუელვა და რა აიხვია საჩქაროდ ყურებ-ჩამოშლილი თავშალი, გავარდა გარედ შესატყობლად. მაგრამ გასვლა და იმისი მუხლების ჩაკეცა ერთი იყო: დაინახა, რომ იმავე ვენახში, სადაც ორს ბურაკს გამოეთხოვა შარშანდელ წელიწადში, გაშოტილი ეგდო ამისი ნაამაგარი დედა-ღორი და თავს ადგა მხარზედ თოფ-გადაგდებული მებატონე. პატარა ხანს უკან წამოვარდა ფეხზედ დარეჯანი და გაექანა ვენახისაკენ.

— შენი მუხლის ჭირიმე, ბატონო, ეს ხომ ყელი გამომჭერ და უკანასკნელი ნუგეში მომისპე, მაგრამ იმ საქმეს მაინც ნუ მიზამ, რომ გემოც ვერ გაიღონ ჩემმა შვილებმა ამდენი ხნის ნაამაგარი ღორისა, როგორც შარშან დამემართა!

ამ სიტყვებით მიიჭრა დარეჯანი მებატონესთან იმ დროს, როდესაც ის უკვე განკარგულებას აძლევდა ბიჭს, წაეთრია ღორი სახლში.

— მე დიდი ხანია ნაბრძანები მაქვს, რომ ჩემს მამულში ფეხს ნუ დაადგამს-მეთქი თქვენი ქათამიც-კი არამც თუ ღორი. ვენახი სულ ამომიგდეს თქვენმა ღორებმა და შეჭმითაც მე არ შევჭამო, დაუყვირა მრისხანედ მებატონემ და ყურიც აღარ ათხოვა იმის ვედრებას, გაბრუნდა და გაჰყვა თან ღორს, რომელსაც ბიჭი მიათრევდა.

გაშტერებულმა დარეჯანმა გაადევნა თვალი სისხლის კვალს თავისის საყვარელი, შვილივით გაზრდილ ღორისას და გულზედ ბრაზ-მოსულმა მორთო საშინელი წყევლა და ლანძღვა მებატონისაკენ მიმართული.

— ღვთის-მშობელ დედასა ვსთხოვ ჩემის ცოდვილის პირითა, შხამად, ბალღამადაც შეგრგებიყოთ მაგის ხორცი დედა-ბუდიანად! რა გაგიფუჭათ შარშან ზამთარში ჩემმა ღორებმა, ან ეხლა ცალიერს ვენახში? ან და გააფუჭა რამე? ეს მამასახლისი და ეს ჩვენ, გვიჩვენოს, რა წაუხდენია ჩვენს საქონელს და გადაგვახდევინე საფასური!

ამ ყვირილზედ სულ მთლად გარედ გამოშლილი მეზობლების ქალები შორიდგან უცქეროდნენ სეირსა და ხმა გაკრძალულები ერთმანეთს ეჩურჩულებოდნენ, ზოგი მგლისკენ და ზოგი ცხვრისკენ წარმოთქმულს სიტყვებსა. დარეჯანი, ყვირილისა და მწუხარებისაგან დაოსებული, წამოვიდა პამპალით სახლისკენ, კრიახით გადავიდა ვენახის ღობეზედ, შევიდა თავისს სახლში და ღონე-მიხდილი, თუმცა-კი, ცოტა არ იყოს, გულ-ბუხარ ამოყრილი დაეშვა ტახტზედ. დარეჯანი მწარე ფიქრებმა გაიტაცა, მაგრამ მალე-კი გამოარკვია უფროსმა გოგომ, რომელსაც რამდენი ხანია ხელში ეჭირა გასხა ვებული ბავ-

ტომ წერილის ბოლოში, სადაც განზრახულის სამეურნეო სასწავლებლის წესდების პროექტს იკვლევს, ამბობს, რომ სასწავლებელში უნდა მიიღებოდნენ ყველა წოდების ყმაწვილებიო (§ 27). მაშასადამე, ბ. მორბედაძეს თავისს წერილში საზოგადოდ მიწათ-მოქმედზედ რომ ელაპარაკნა, მისი არგუმენტაცია არა თუ არას წააგებდა, პირიქით მოიგებდა და გაძლიერდებოდა კიდეც!

შემდეგ ბ. მორბედაძე იკვლევს — თუ რა ხასიათისა უნდა იქმნეს სამეურნეო განათლება? უმეტესს ნაწილს ქართველ მეურნეთა შეადგენენ, როგორც ვიცით, წვრილი მემამულენი. ისეთ მემამულეთა რიცხვი, რომელთა́ც 400 დესეტინაზედ მეტი ადგილ-მამული ჰქონდეს, ჩვენში ძლიერ ცოტა არის—13% რომ ავიღოთ, ისიც ბევრი იქნება. მხოლოდ ამ მსხვილ მემამულეთ შეუძლიანთ სავსებით დაკმაყოფილდნენ თავისის მამულის შემოსავლით ან დაიქირავონ განათლებულნი მოურავნი და აგრონომები: უმრავლესობა-კი იძულებულია თვით უპატრონოს თავისს მამულს, თვით იმუშავოს, თვით ეცადოს მამულის შემოსავლის გაძლიერებისათვის. აქედგან ცხადად სჩანს, რომ ჩვენთვის საჭიროა იმგვარი სამეურნეო სასწავლებელი, რომელსაც შეუძლიან შეჰქმნას ისეთი მეურნე, რომელმაც რიგიანად უნდა მოუაროს მამულს, გააძლიეროს მიწის წარმოებითი ძალა და აღამაღლოს სამეურნეო კულტურა ქვეყნისა. თუ ამას დავუმატებთ იმ გარემოებას, რომ ჩვენს მეურნეობას მრავალნაირი ხასიათი აქვს, რომ თითოეული მემამულე მევენახეობასაც მისდევს, მებაღობასაც, მებოსტნეობასაც, პურისა და სხვა-და-სხვა მცენარის მოყვანასაც, ცხადია იმნაირი სასწავლებელი გვჭირია, სადაც მეურნეობის ყველა ნაწილს ასწავლიან და არა ისეთი, სადაც სპეციალურად მეურნეობის ერთი რომელიმე ნაწილი ისწავლებოდეს. საჭიროა იმგვარი სასწავლებელი გავიჩინოთ, სადაც საკმაოდ სრული თეორიული ცოდნაც მიიღონ ყმაწვილებმა და პრაქტიკულადაც გამოიცადონ, რათა შეეძლოთ მამულის ნამდვილი მოვლა-პატრონობა. ამ და სხვა მოსაზრებათა მიხედვით, რომელთაც ჩვენ აქ უადგილობის გამო ვერ მოვიყვანთ, ბ. მორბედაძე, ჩვენის ფიქრით სრულიად სამართლიანად ამტკიცებს, რომ ამგვარის სასწავლებლის სამსახურს გაგვიწევს— საშუალო სამეურნეო სასწავლებელი საზოგადო პროგრამით.

ამგვარის სამეურნეო ცოდნის შეძენისათვის საჭიროა, რომ ყმაწვილებმა სასწავლებელში ოთხი წელიწადი დაჰყონ და ოთხივე წელიწადი მოახმარონ მხოლოდ სამეურნეო მეცნიერების საგნებს. ხოლო ამ საგნების შესასწავლად ყმაწვილები უთუოდ მომზადებულნი უნდა იყვნენ, აუცილებლად საჭიროა მათ პროგიმნაზიული საზოგადო განათლება მაინც ჰქონდეთ მიღებული. ამიტომ აქ საყურადღებო საგანი ჩნდება განსახილველად: მომავალ სამეურნეო სკოლასთან უნდა დაარსდეს ეს პროგიმნაზიული კლასები თუ არა? უეჭველია კარგი იქნებოდა რვა-კლასიანის სასწავლებლის დაარსება — ოთხი პროგიმნაზიულის განყოფილებისა და ოთხი საკუთრად მეურნეობისა, მაგრამ ამას დიდ-ძალი ხარჯი დასჭირდება და ჩვენი თავად-აზნაურობა ჯერ-ჯერობით ამას ვერ იკისრებს. ბ. მორბედაძე იმასაც ფიქრობს, რომ ცალკე, სხვა ადგილებშიაც, ვერ დავაარსებთ ამგვარს მოსამზადებელს სკოლებს. ამიტომ მომავალს ოძისის სკოლაში შესვლის ნება მხოლოდ იმ ყმაწვილებს მიეცემათ, რომელთაც პროგიმნაზიული კურსი ექნებათ შესწავლილი ბუნების მეტყველების ზოგიერთ საგნების ცოდნასთან ერთად. ამ საქმეს ძლიერ უშველიანო, ამბობს ბ. მორბედაძე, ჩვენი სათავად-აზნაურო სკოლები. ამ სკოლების კურს-დასრულებულნი მართლაც შეადგენენ საუცხოვო კონტინგენტს განზრახულის სამეურნეო სკოლისას იმ შემთხვევაში, რასაკვირველია, თუ სათავად-აზნაურო სკოლების პროგრამა გაძლიერებულ იქნება ბუნების მეტყველების ზოგიერთ საგნების სწავლებით.

აი ეს არის უმთავრესი საგნებიო, აბოლოვებს წერილის პირველს ნაწილს ბ. მორბედაძე, საგნები, რომელიც სახეში უნდა გვქონდესო, როდესაც მომავალ სამეურნეო სასწავლებლის შესახებ გვექნება სჯაო.

შემდეგ ბ. მორბედაძე აღგვიწერს ოძისის მამულს, ეხება სასწავლებლის პროგრამას, არკვევს წესდებას და მოჰყავს დაახლოვებითი ხარჯთაღრიცხვა. წერილის ამ ნაწილის შესახებ ხვალ მოვილაპარაკოთ.

ლალი.

# ახალი ამბავი

⁂ როგორც გავიგეთ, თ. რ. ერისთავის საიუბილეო დღესასწაულის გამო საქართველოს ზოგიერთს კუთხეში კომიტეტი შეუდგენიათ.

⁂ ფინანსთა სამინისტრო აცხადებს: ის გარემოება, რომ ზოგიერთი ბანკი ან კანტორა არ იღებენ ვერცხლის ფულს, სრულიად უკანონო არისო. ყველა ბანკებმა, საბანკო კანტორებმა, ტელეგრაფმა, რკინის გზის კასებმა, ერთი სიტყვით, ყველა დაწესებულებამ უთუოდ უნდა მიიღოს ვერცხლის ფული — მანეთიანი, ათშაურიანი და ხუთშაურიანიო.

⁂ სამხედრო მინისტრი გენერალ-ადიუტანტი ვანნოვსკი 26 სექტემბერს, დილის 10 საათზედ, გაემგზავრა ტფილისიდგან პეტერბურგს.

⁂ „ჩერნომ. ვესტ.“-ს ნამდვილ წყაროებიდგან გაუგონია, რომ სამიწათმოქმედო სამინისტროს განუზრახავს სრულიად აღკრძალოს საზღვარ-გარეთ გაზიდვა ზოგიერთის ძვირფასის ხისა კავკასიიდგანაო.

⁂ გუშინ, არსენალის მახლობლად, რკინის გზის ლიანდაგზედ იპოვეს გვამი ერთის ახალგაზდა კაცისა. გვამი საშინლად არის დასახიჩრებული იარაღით.

⁂ გაზ. „კავკაზს“ სწერენ ნახიჩევანის მაზრის სოფელ შახტახტიდგან: ყაჩაღი ნაბი ოც-და-ათ შეიარაღებულ ცხენოსან ყაჩაღით შვიდს სექტემბერს მოვიდა სოფელ კარკლუხში. აქ მას შეჰხვდა ერევნის მაზრის მცხოვრებელი ბაბუ-ბალა-სულთან-ოღლი და მისი ნათესავი. ამ ორს კატორგა ჰქონდათ გარდაწყვეტილი, მაგრამ მცველებს ხელიდგან დაუსხლტათ და რუსეთიდამ გამოიქცნენ. მათ სთხოვეს ყაჩაღების წინამძღოლს ნაბის თავისს დასში მიეღო და საერთო ძალ-ღონით გადაეხადნათ სამაგიერო ს. ვედის მცხოვრებლებისათვის, რომელთაც ვითომც ტყუილი ჩვენება მისცეს და ცილი დასწამეს და სასამართლომ კატორგაში გაჰგზავნაო. ნაბი დასთანხმდა და ხან-ბაბა თავისის ჩვიდმეტის ამხანაგით შეუერთდა მისს დასს, რის შემდეგაც გასწიეს ერევნის მაზრისაკენ. მაგრამ ვიდრე სოფ. ვედის დაეცემოდნენ, ნაბიმ მისწერა მაზრის უფროსს, რომ მისს მაზრაში საყაჩაღოდ-კი არ მივიდა, არამედ იმისთვის, რომ სამაგიერო გარდაუხადოს ბალა-სულთან-ოღლის მტერთ.

ყაჩაღთა ბრბო დღისით დაეცა სოფელ ვედის მცხოვრებლებს და მოითხოვა ახლად შემოერთებულის ამხანაგის მტრები. უკანასკნელთ არ უნდოდათ თავისს ფეხით მისულიყვნენ მკვლელებთან. ასტყდა თოფის სროლა. გაიმარჯვეს ყაჩაღებმა. გამოიყვანეს ორი კაცი და ერთი დედაკაცი, რომელნიც ბაბა-სულთან-ოღლის მტრად ითვლებოდნენ და მთელი ხალხის წინ თვით ბაბა-სულთან-ოღლიმ მოსჭრა მათ თავი, რომელნიც სიკვდილით დასჯილნი თვით ამ ყაჩაღის ნათესავები იყვნენ. ყაჩაღები ზანგეზურის მაზრაში დაბრუნებულან.

დრამატურგმა და ან ბელეტრისტმა რომ თავისს ნაწარმოებში ამისთანა სურათი ჩაურთოს, დიდად გაუკვირდებათ და იტყვიან: „გადაუმეტებიაო“, მაგრამ, როგორც სჩანს, ნამდვილი ამბავია.

⁂ ამავე ყაჩაღ ნაბის შესახებ ატყობინებენ გაზ. „კავკაზს“, რომ როდესაც მან აიკლო ზოგიერთი სოფლები ზანგეზურის მაზრისა, მაზრის უფროსს მისწერა, ნუღარ შეიწუხებთ სახელმწიფო ხარჯის ასაკრებად თავს, რადგანაც მე, ნაბიმ, უკვე ავკრიბე ეს ხარჯიო. ამასთანავე ნაბიმ მოსთხოვა განათავისუფლონ მისი ცოლი ციხიდგან, თორემ დაეცემი ციხეს და მე თითონ განვათავისუფლებო.

⁂ სოფ. კიკეთი, (ტფილისის მაზრა): წელს ჩვენკენ მშვენიერი მოსავალია ყველაფრისა. ვაზის მოშენებას ჩვენში არ მისდევენ, მაგრამ პური, ქერი, კართოფილი და სხვა იმდენი მოვიდა, რომ ჯერაც ვერ გაგვითავებია გალეწვა და შეკრება. წრევანდელს წელიწადს უფრო იმით ვემადლიერებით, რომ ძალიან მშვიდობიანობაა, სოფელში არავითარი ავადმყოფობა არ არის.

⁂ სამტრედია: ერთს ახირებულს ამბავს გვატყობინებენ სამტრედიიდგან და თუ მართალია, სწორედ ვერ გაგვიგია, რას მოასწავებს ამგვარი მოქმედება. სამტრედიის ეკკლესიაში შუა წირვამდის რომ ქართულად არის წირვა, შუა წირვის შემდეგ რუსულად: ასე, რომ უმეტესი ნაწილი ქართველებისა შუა წირვის მერე აღარ იცდიან ეკკლესიაში, რადგანაც არა ესმისთ-რა.

# უცხოეთი

**ინგლისი.** ქარიშხალის დროს დაიღუპა 19 გემი და დიდი იალქნიანი ხომალდი და 27 პატარა; დაირჩო 13 კაცი.

---

შვი და ვერას გზით ვერ დაეჩუმებინა.

დედა რომ სახლში დაბრუნებული დაინახა, ისიც თან შემოჰყვა და მიაწოდა ძუძუს მოსაწოვებლად. ბავშვმა რომ ძუძუს პირი წაავლო, დარეჯანს გაახსენდა, რომ ქმარ-შვილისათვის ჯერ სადილი არ გაეგზავნა.

— უი, დამიდგეს თვალიო, ერთი წამოიძახა და გაფაციცებით გადასვა კალთიდგან ბავშვი. საჩქაროდ მივარდა ბუხარს და შეუდგა ლობიოს შეჭამანდის შენელებას. რამოდენიმე ხანში პატარა გოგო მიარბენინებდა ძუგძუგით ქოთნით შეჭამანდს და ხელსახოცში გახვეულს პურებს. დარეჯანმა რომ გული დაიმშვიდა ქმარ-შვილის შესახებ, თითონაც გაახსენდა, რომ ჯერ ისევ უზმო იყო და როგორღაც გული ეთანაღრებოდა. იფიქრა, შიმშილის მიზეზი იქნებაო და პატარას თითონაც დანაყრდა და მიწვა სულით დაქანცული ტახტზედა. ასე სამწუხაროდ ჩაიარა დარეჯანისთვის თითქმის მთელმა დღემ.

დაღამებას სულის-სულზედ მოელოდა, მოვიდეს სანო და ჩემი გულის დარდი იმას მაინც გავუზიაროო. თუმცა ღორის მოკვლის შემდეგ რომ სახლში დაბრუნდა დარეჯანი, მეზობლის ქალები ბევრი შემოეხვია გარს და ერთი-ერთმანეთს აღარ აცლიდნენ კვერის დაკვრას დარეჯანის ყოველ ლანძღვაზედ და წყევლაზედ ბატონის შესახებ, მაგრამ ამითი შეღავათი არ მისცემია იმას: იცოდა, რომ ისინი მხოლოდ ლაპარაკის სიყვარულით, ენის მოსაფხანად ეუბნებოდნენ და ამითი უფროც გაუსიეს ნაღველი, ქმრისაგან-კი სხვანაირს დამშვიდებას მოელოდა.

აგერ დაღამდა კიდეც, თავისი მწველელი ძროხა და დანარჩენი ღორები კიდევაც დააბინავა და სანო-კი ჯერ არსადა სჩანდა. უკვირდა ძალიან და სწუხდა კიდეც. რაკი მიაძინა ბავშვები, მთელი დრო დერეფნის კართან გაატარა იმის მოლოდინში. დილას გოგოს-კი დაიბარა, მამას ნურას ეტყვიო, რომ არ წამოსულიყო, არ მომცდარიყო, მაგრამ ეხლა-კი ნანობდა ამას.

ამასობაში პირ-ბადრი მთვარეც ამოკაშკაშდა კავკასიონის მთებიდგან და აათრთოლა თავისი უხვი სხივები მედიდურად მიმდინარე მტკვარში. წყნარის ღამის სიმშვიდეს მხოლოდ ბაყაყების ყიყინი და მდინარის შხუილი თუ არღვევდა. სანომ გამოირეკა თავისი ულელი ხარი მინდვრიდგან, გაიდო მხარზედ ულელი და შემოუდგა აღმართს ნამუშავარის კაცის ზანტი ნაბიჯით. წინ უფრო მარდად შვილი მიუძღოდა და მიირეკავდა სახრით ხარებს, იმ ბავშვურის სიამაყით, რომ აი, მეც კაცი ვარ ეხლა, მამის შველა შემიძლიანო. დარეჯანი ისევ იმ ალაგას იჯდა, როდესაც გაიგონა ქმრის ხმაურობა.

— შვილო, შერეკე ბაკში ხარები, გენაცვალოს მამა, უთხრა სანომ შვილს და შევიდა სახლში.

— კაცო, რა დაგემართა აქამდის, თავათ ლამის ჯავრით გულზედ გავსქდე და ამ თქვენმა დაგვიანებამ ხომ უარესი დამმართა. სადა ხართ აქამდის?

— სადა ვართ რა, შე დალოცვილო, ხამი ხომ არა ხარ? დაღალული საქონელი ბალახში შევრეკე და იმათ გაძღომას ვუცდიდით მე და სინა ხის ქვეშ წამოწოლილები; მთვარე ამოვიდა თუ არა, ხარებიც კარგად გამაძღრები იყვნენ და წამოვედით კიდეცა. მაგრამ, ეგ მითხარი, რა ჯავრი გიხეთქამს გულს?

— შავმა მიწამ რომ უყოს პირი იმ ვაჟბატონსა! ის როდი ეყო, რაც შეხეთქა, ჩვენი დედა-ღორიც დღეს მოინარიკლა, გასაწყვეტმა, უცებ მიახეთქა ეს უსიამოვნო ამბავი ქმარს დარეჯანმა.

— რაო, დედა-კაცო, შეჰყვირა გაოცებულმა და თვალებში სისხლმორეულმა სანომ, მაგას რას ამბობ, ჩვენი დედა-ღორი? მერე სადა, აიიმ ცარიელ ვენახში კიდევ? ღმერთო დიდებულო! არა შემამთხვიოს რამე-კია ე მაგ დაწყევლილმა! რომ არ ვიცი, საით გადავვარდე, საით გადავიღუპო! ნეტავი მეშოვებოდეს სადმე მაინც ერთი მტკაველი მიწა, რომ მაგის სიახლოვეს მოვშორდე! თუ არა, რა წყალში ჩავვარდე?! ქათამმა რომ ფეხი გადადგას, მაგის ადგილს უნდა დაეტაკოს და თუ თითონ ღმერთი არ იწამა, მე როგორ შევაკავო პერ-უტყვი საქონელი! არა, არა, გლეხ-კაცს არა ეშველება-რა თავისს დღეში, როგორც დაბადებულა უღმერთოდ, ისეც ჩაძაღლდება, წარმოსთქვა ეს მწარე სიტყვები სანომ და დაეცა იქვე მდგარს სამფეხა სკამზედ. პატარა ხნის ჩაფიქრების შემდეგ ცოლს შეეკითხა:

— ღორი რაღა უყავით?

— ღორი იმას უდევს წინ და შეექცევა. აი, ცეცხლათაც ჩასვლია იმას მუცელში ჩემი შვილების ცოდვითა!

სანომ ერთი მწარედ გააქნია თავი ცოლის სიტყვებზედ და მერე იმას მიუბრუნდა:

— ადე, ადე, ერთი ლუკმა პური ჩაგვაცეცხლე და მივწვები, დაქანცული ვარ, დღეს ჩემი ფეხი არ ჩადრეკილა. რა გაეწყობა, ალბად რაც ღმერთს უნდა, ის იქნება.

დარეჯანი მივიდა თაროსთან, გადმოალაგა ხონჩაზედ ნამტვრევი მჭადები, დაუსხა ჯამზედ ცივი ლობიო და მიუტანა ქმარ-შვილს. სანო და სინა მადიანად შეექცნენ. გაათავეს ჭამა, სანო გადასწვდა შორი-ახლო მდგომს სურას ცივის წყლით, მოიყუდა დიდხანს და, რა გადიწერა შემდეგ პირ-ჯვარი: ღმერთო დიდია შენი მოწყალებაო—მივიდა და ჩაწვა თხლად გაშლილს ლოგინში.

დიაღაც რომ დიდია ღვთის მოწყალება, როდესაც გლეხ-კაცს ლობიო და მჭადი წლითი-წლობამდე მუდამ აქვს. შესაბრალისს მდგომარეობაშია გლეხი კაცი, რადგან დღითი-დღე ხალხი მრავლდება და სამუშაო მიწაც უფრო ძვირდება საზოგადო სივიწროვისა გამო და კარგი უნდა, რომ ყოველს ოჯახს ორ დღიურზედ მეტი ჰქონდეს ნახნავი. აბა ერთისა და ორის დღის მიწის მოსავალი რას უზამს გლეხ-კაცს, როდესაც იმოდენა გარდასახადი თავს აწევს. ამის გამო, ყოველს გარდა-

**ოსმალეთი.** ამ ბოლო დროს სტამბოლში მომხდარ მანიფესტაციის შესახებ იუწყებიან, რომ იგი კარგა დიდი ხანია მზადდებოდა სომეხთა კომიტეტის-მიერო. მანიფესტაციას აზრადა ჰქონია ოსმალნი გამოეწვია რაიმე მხეცურ საქციელზედ და ამით საქმეში ჩარეულიყვნენ უცხო სახელმწიფონი, რომ სომეხთა საქმე როგორმე აღძრულიყო ხელმეორედ. გავლენიან პირთა და პატრიარქის რჩევისამებრ კომიტეტმა გარდასწყვიტა მშვიდობიანად ჩაეტარებინა მანიფესტაცია და 16 სექტემბერს აცნობა კიდეც ელჩებს და პორტას სთხოვდა მანიფესტაციისათვის წინააღმდეგობა არ გაეწია, წინააღმდეგს შემთხვევაში ჩვენ ბრალი არაფერში ვიქნებითო. ოსმალთ ყოველგვარი საშუალება იხმარეს მშვიდობიან მანიფესტაციისთვისაც ხელი შეეშალათ. მათ პატრიარქსაც-კი სთხოვეს, საქმეში ჩარეულიყო და ერჩია, მანიფესტაცია არ მოეხდინათ, მაგრამ პატრიარქმა უარი განაცხადა, — იმდენი გავლენა არა მაქვს ხალხზედ და ჩემთვის შეუძლებელიაო. პატრიარქმა უარი განაცხადა აგრეთვე იმაზედაც, რომ 19 სექტემბერს თავისს საცხოვრებელ ადგილიდგან კუმკაპში გადასულიყო, რადგანაც ეს პორტას ინტერესების წინააღმდეგი იქნებოდა და საქმის გარემოებას უფრო გაამწვავებდა.

—

**საფრანგეთი.** 17 სექტემბერს ფონტენებლოში აკურთხეს კარნოს ძეგლი. მაღალს პირამიდაზე, რომელიც გაკეთებულია თეთრის მარმარილოს ქვიდან, სდგას ბრინჯაოს ბიუსტი განსვენებულის პრეზიდენტისა. ძეგლის კურთხევის დღეს მთელი ქალაქი ბაირაღებით იყო მორთული. კურთხევას დაესწრო პრეზიდენტი ფორი; მასთან ერთად მოვიდა სამი შვილი განსვენებულის პრეზიდენტის კარნოსი და მინისტრი დიუპუი-დიუტანი. უკანასკნელმა წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც დიდებითა და ქებით მოიხსენია სადი კარნო. შემდეგ ამისა სიტყვები წარმოსთქვეს ქალაქის წარმომადგენლებმა. პირველად გვირგვინით ძეგლი შეამკო თვით ფორმა.

—

**ჩინეთი.** ინგლისურ გაზეთების სიტყვით ჩინეთის დედოფალმა მოიწვია პეკინს ცნობილი ლი-ხუნგ-ჩანგი და შეადგენია პროექტი ვრცელის ადმინისტრატურის რეფორმებისა. სხვათა შორის, ამბობენ, ლი-ხუნგ-ჩანგი იმ აზრისა არის, რომ დედაქალაქად ჩინეთის შუაგულის რომელიმე ქალაქი იქმნას არჩეულიო, რადგანაც პეკინი საშიშ ალაგას სძევსო.

—

**ოსმალეთი.** კონსტანტინოპოლიდგან დეპეშით ატყობინებენ ლონდონის გაზეთებს შემდეგ საყურადღებო გარემოებას: სასუნის კომისიის ერთ უცხოელ დელეგატს უთქვამს, რომ გაზეთების ამბები, ვითომც სასუნში რამდენიმე ათასი სომეხი მოუკლავთ, გადაჭარბებულიაო; სულ სასუნის ხეობაში 4,000 მცხოვრები არის, რომელთაგან სამასი ან ოთხასი კაცი იქმნა მოკლულიო. ის ამბავი, ვითომც მრავალი ქალი და ბავში დაესახიჩრებიოთ ოსმალელთ, სრულიად სიცრუე არისო.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან).

როგორც ჩვენმა მკითხველებმა იციან, ინგლისმა ულტიმატუმი გაუგზავნა ჩინეთს შესახებ მეფის მოადგილის გადაყენებისა მისსიონერების ამოწყვეტისა გამო. აი, რასა სწერს ინგლისელი გაზეთი „სტანდარდი“ ამ ულტიმატუმის შესახებ:

ულტიმატუმის შედეგი მეფის მოადგილის სამსახურიდამ გადაყენება იყო. თუმცა ეს ძალიან კარგად მოხდა, მაგრამ ჩვენ ამ შემთხვევას უნდა შევხედოთ როგორც საქმის კარგს დასაწყისს. ჩვენი დაკმაყოფილება იმითი უნდა გამოიხატოს, რომ დამნაშავენი აღმოაჩინონ, დასაჯონ და საზოგადოდ მოხელეები დაბალ ხარისხზედ ჩამოიყვანონ, რადგანაც მათ არ მიიღეს ღონსი-ძიება ამბოხების წინააღმდეგ.

დიაღ, ინგლისი წაათამამა ჩინეთის მიერ ულტიმატუმის მიღებამ და იგი ახლა სხვა პირობებს წარუდგენს იაპონიის მიერ შერყეულს ჩინეთს. თუმცა ზოგიერთი გაზეთები-კი იმითაც კმაყოფილნი არიან, რასაც მიაღწია ინგლისმა ულტიმატუმითაო.

ლორდ სოლსბერიმ ჩინელებს გაკვეთილი მისცა; ამ გაკვეთილს ისინი მიჰხვდებიან. ეხლა მთელი ჩინეთი გაიგებს, რომ მისიონერების დახოცვა არ შეიძლებაო.

შეჰნიშნავს „დაილი ტელეგრაფი“. გაზ. „დაილი ნიუზი“ უფრო დიდს მნიშვნელობას აძლევს ბრიტანიის დიპლომატიის გამარჯვებას. იგი ამბობს:

ის საშუალება, რომლითაც საწადელს მივაღწიეთ, სრულებით ახალი საშუალებაა და ეჭვი არ არის საყურადღებო შედეგი მოჰყვება ამას. დიდის და მოუხეშავის სახელმწიფოს დანაწილება ერთის მხრით კიდეც დაიწყო.

როდესაც ინგლისი ულტიმატუმს უგზავნიდა ჩინეთს, მაშინ მას მდინარე იანისეკიანგზედ თორმეტი საომარი ჯავშნიანი გემი ედგა. მდ. იანისეკიანგი ჩინეთს ორ ნაწილადა ჰყოფს და ინგლისის ჯარი ჩინეთის ყოველ პროვინციას მისწვდებოდა. აი სწორედ ამისი იმედი ჰქონდა ინგლისს, როდესაც ჩინეთს შეუთვალა: მეფის მოადგილე გააუბედურე, წინააღმდეგ შემთხვევაში ომს გამოგიცხადებო.

—

იმის გამო, რომ ამ უკანასკნელ დროს სტამბოლში დემონსტრაცია მოახდინეს სომხებმა და სამთა კავშირის წარმომადგენლნი კიდევ — ინგლისი, საფრანგეთი და რუსეთი — ერთხმად თხოულობენ ოსმალეთის მთავრობისაგან მიეცეს სომხებს, რასაც ეს უკანასკნელნი ითხოვენ, აი რას ამბობს სუვორინის გაზეთი „ნოვოე ვრემია“:

სამთა სახელმწიფოთა სომეხთა საქმეში ჩარევა ამ ბოლო დროს ძალიან ემზგავსება კომედიას, რომელიც ინგლისისაგან არის მომზადებული სხვა-და-სხვა განზრახვით, რომლებზედაც ეხლა აღარას ვიტყვით, რადგან წინადაც არა ერთხელ გვილაპარაკნია; მხოლოდ ვიტყვით, რომ არც რუსეთს და არც საფრანგეთს არა აქვს არავითარი სარგებლობა ამ მოსარჩლეობაში, — არა აქვთ საბუთი, ასე ბრმად და ყრუდ ემსახურონ ბრიტანიის დიპლომატიასაო.

ეჭვი არ არის რუსეთმა უარი უნდა სთქვას ყველაფერზედ, რაც კი ინგლისთანა და საფრანგეთთან ერთად გააკეთა ამ საქმეში, თუ რუსეთის დიპლომატია სუვორინის გაზეთის აზრს დაეთანხმება და მისს რჩევას გაიგონა. მეორე, საკვირველია, რატომ უკვირს ასე და ან რადა ჰკიცხავს ეს ლიბერალური (?) გაზეთი რუსეთს იმისათვის, რომ სხვა სახელმწიფოებთან ერთად იგი ესარჩლება სომხების ადამიანურს უფლებებს, რომლებიც დღეს ოსმალეთს ძალით წაურთმევია!..

—

ვენის გაზ. „ნეი ფრეი პრესს“-ში დაბეჭდილია საყურადღებო და საინტერესო აზრი, რომელიც ინგლისელ სახელმწიფო მოღვაწესი; როგორც გაზეთი გვარწმუნებს, ამ მოღვაწეს კარგად სცოდნია მარკიზ სოლსბერის გარეშე პოლიტიკის საზოგადო მიმართულება. იმ შემთხვევაში, თუ რომ ევროპაში ომი ასტყდა.

რასაკვირველია, მთავრობა გულ-ხელს არ დაიკრებს და ისე არ იჯდება. იგი უთუოდ მიჰმართავს პარლამენტს და ნებას გამოსთხოვს ომში მონაწილეობა მიიღოს და სამთა კავშირს, მიემხროს და პარლამენტიც დასთანხმდებაო.

უთქვამს ამ მოღვაწეს კორესპონდენტისათვის.

—

სამხედრო ხარჯთ-აღრიცხვის შესახებ მოხსენების წაკითხვის შემდეგ კავენიაკმა მოიყვანა შემდეგი მაგალითები, თუ რამდენჯერ და როგორ მოტყუებულა სამხედრო უწყება.

ასე მაგ. რამდენიმე წლის განმავლობაში ერთი ცნობილი ფირმა, რომელიც მხედრობას მოუდს აძლევდა, ერთთავად ატყუებდა სამხედრო უწყებას; ამასთან ბოროტ-მოქმედება სულ სხვა-და-სხვა სახით ხდებოდა. მაგ. ის მოუდები, რომლებიც დაწუნებულნი იყვნენ მიმღებ კომისიისაგან, რაღაც გაუგებრად ყალბის ბეჭდით ისევ სამხედრო მაღაზიებში ამოჰყოფდნენ ხოლმე თავს; შესყიდული ექსპერტები საქონელს ბოლოს მაინც ვარგისად სცნობდნენ და მერე ისაც ისეთს საქონელს, რომელიც გროშად არ ღირდა; მოხელენი თავისს ნებაზედ სცვლიდნენ იჯარით აღების პირობებსა და სხვანი. ასეთივე ბოროტ-მოქმედება აღმოჩნდა ფეხთსაცმელისა, ცხენების სამკაულისა და ყალბი ჩექმის ყელების იჯარით გაცემაშიაც (ფრანგები ხმარობენ ხოლმე ასეთს ყელებს). ამის მიზეზით უმეტესი ნაწილი სურსათისა და სამხედრო საქონლისა სრულიად უვარგისი დგება ხშირად. ასე მაგ. გასინჯვის დროს აღმოჩნდა, რომ 15 თუ 20% დაბალ ყელიან ჩექმებისა სახმარებლად უვარგისი იყო; ეს საქონელი ეღირება 8 მილიონი ფრანკი. ცხენის სამკაულის გასინჯვის დროს აღმოჩნდა შემდეგი: 2,644 უნაგირში 441 სრულიად უვარგისად იქმნა ცნობილი და 2 203 უნაგირის შესახებ საჭიროდ სცნეს ხელმეორედ გასინჯვა და კრიტიკულად განხილვა; 3,371 აღვირში მხოლოდ 1,301 აღვირი იქმნა ცნობილი საკმაოდ კარგად, დანარჩენი 2,070-ში-კი ყველას თითო რამ შესამჩნევი ნაკლი ჰქონდა. საზოგადოდ კავენიაკი იმ აზრისაა, რომ აწ არსებული სისტემა უთუოდ შეცვლილ უნდა იქნასო.

კავენიაკის მოხსენებამ კომისიაში წინააღმდეგობა გამოიწვია სამინისტროს წარმომადგენელთა მხრივ. რიბო აფრთხილებდა და ეწინააღმდეგებოდა აჩქარებულ დასკვნაში, რომლებიც სულ რამდენსამე მაგალითზედ იყო დამყარებული და ამბობდა, რომ ასეთს დასკვნას შეუძლიან სრულიად წინააღმდეგი წარმოდგენა შეადგენინოს კაცს საქმის გარემოებაზეო. სამხედრო მინისტრი ამტკიცებდა, რომ მთელი მხედრობა წინააღმდეგი იქნება მოხსენების საზოგადო დასკვნის შესახებაო. ცურლინდენის აზრით კავენიაკის დასკვნა შემთხვევითს ფაქტებზეა დამყარებული. მაინც სამხედრო მინისტრმა უარი არ სთქვა კავენიაკის მიერ დასახელებულ საჭირო საქონლის შეძენის საშუალებაზედა და განაცხადა, რომ სამინისტრო ყოველგვარს საშუალებას ხმარობს არსებული ბოროტება როგორმე მოსპოსო.

### უცხოეთის წვრილი ამბები.

—

ინგლისის დედოფალი ერთს დროს დექსებს თურმე სწერდა. ამ რამდენიმე

---

სახადს რომ გადიხდის, მიიხედავს და ბეღელში იმდენი აღარ უყრია, რომ მეორე მოსავლამდის ცოლ-შვილი გამოჰკვებოს. ღვთით სანო-კი იყო ამ გაჭირვებას მოკლებული, წლითი-წლობამდის სარჩო არ აკლდა და მდორედ მიდიოდა იმისი ცხოვრება, ამ ბოლო დროს მებატონესაგან რომ ეს უბედურება არ დასტეხოდა თავზედ.

II

გავიდა ზაფხული; გავიდა შემოდგომაც. ყოველი მიწის მოსავალი შეინახეს, ღვინო ჩაისხეს ქვევრებში, პური და სიმინდი ჩაჰყარეს ბეღლებსა და ძარებში; საკუჭნაოები გაივსნენ ყურძნისა და ხეჭეჭურების აკიდოებით. აშვებული საქონელი ბაგეებზედ ჩამომწკრივდა და ადამიანიც მიუჯდა გახურებულს ბუხარს. ზამთარი მოვიდა, მკაცრი და დაუნდობელი.

სანოც გვარიანად იყო თავისი საყოფი ყოველისფერი ჰქონდა შენახული. თბილად მისჯდომოდა იმისი ცოლ-შვილი გაღადღადებულს დიდს ბუხარს და მით უფრო და ბედნიერად გრძნობდნენ თავს, რაც უფრო მეტად გაჰქონდა გუგუნი ცივს ქარს და ატრიალებდა თოვლს ჰაერში. დედა-ღორი კიდევაც გამოიგლოვეს. ეხლა საშობაოდ ასუქებდნენ კარგს ტახს და იმას-ღა შეჰხაროდნენ სანოს ბავშვები...

ერთს თებერვლის დილას გაიღო სანოს სახლის კარები და შემოვიდა სოფლის გზირი ფეხებისა და ნაბდის ბარტყუნით თოვლის დასაყრელად.

— დილა კარგა ყოფნისა!

— ოჰ, მობრძანდი, დათა, მობრძანდი. კარგია გაგახსენდით ამ ბუქში უპასუხა სანომ.

— აი, ეს უწყება მოვიდა და იმაზედ მოვედი, თორემ ამისთანა ამინდში კარგი პატრონი ძაღლსაც არ გააგდებს გარედა.

უწყების ხსენებაზედ ფერი ეცვალათ ცოლსაცა და ქმარსაც. საშინელებაა გლეხ-კაცისათვის უწყების მიღება. გლეხი გრძნობს კანონის წინაშე თავისს უძლურებას და რასაკვირველია შიშობს მსაჯულთან წარდგომას, იმის კითხვებზედ პასუხის მიცემას. ცამდის მართალი რომ იყოს, იმის თქმისაც-კი ეშინიან, რაც გაამართლებს და დაიხსნის სასჯელისაგან, ვაი თუ ამითი ჩემი თავი დავიღუპოო. ამიტომ, ადვილი წარმოსადგენია, რა მდგომარეობაში ჩააგდებდა ცოლსაც და ქმარსაც უწყების მიღება.

— კაცო, თუ შეგცდა, თორემ ან მე რა მაქვს სადავო და ან სხვას ჩემთან, შეეკითხა სანო დათოს.

— შენ-კი არა, შენს ცოლს იბარებენ, უპასუხა დათომ.

— რაო, ჩემს ცოლს! რას ამბობ, კაცო, ჩემს ცოლს რა საქმე აქვს სუდში?

გაოცებული ეკითხებოდა სანო და ვერ მიმხვდარიყო მიზეზს.

— უი, უი, ეს აიმ ვაჟ-ბატონის საქმეა ნამდვილად, გაიშვირა თითი დარეჯანმა მებატონის სახლისაკენ. — დახე, დახე, იმ ურჯულოსა, იქვე რომ დამემუქრა „სხვა ნაირად გაგცემ პასუხსაო“, აი ეს ყოფილა იმისი პასუხი. ღმერთო, ღმერთო, ამას რას მოვესწარი, რა მინდა მე სუდებში, სუდებში... იგლეჯდა თმას ცრემლებ-მორეული დარეჯანი... დედის კივილზედ შეუდგათ საშინელი ზრიალი ბავშვებს და ერთი-ერთმანეთზედ ეწევოდნენ კალთებს დედას და აძლევდნენ ბანს ყოველს იმის დატირებაზედ. შეიქნა იმისთანა ამბავი, რომ გარეთ მყოფს ეგონებოდა მიცვალებული გააქვთ სანოს სახლიდგანაო.

— ერთი ეს მაინც გამაგებინე, დათო, რას მიჩივის ის ღმერთზედ ხელაღებული? ღორები იმან შემიჭამა და სუდშიაც მე მიმათრევს? შეეკითხა სანო.

— რას გიჩივის და „აბედას“ გიჩივის, უპასუხა საქმის კარგად მცოდნის კილოთი დათომ. როგორც ყური მოჰკარ იმ დღეს „კანცელარიაში“ ნათლი-დედას გაულანძღავს მებატონე, „აბედა“ უქმევია და აი იმას გიჩივის.

— ვოჰი მე... გააქნია თავი სანომ, რად გადამეკიდა ეგ ოჯახქორი, რაზედ მხდის პირში სულსა?

დარეჯანი იჯდა ბუხართან ტახტის კუნჭულში და მწარედ იქნევდა თავს. შვილები გარს შემოხვევოდნენ და ეკვროდნენ გულში, იქნება ტირილი აღარ დაიწყოსო.

პატარა ხნის სიჩუმის შემდეგ დათა წამოდგა და გამოემშვიდობა სახლობას. არ გასულა ორი წამი და სანომაც გასწია კარებისკენ.

— შენ სადღა მიხვალ, ადამიანო, ამ ამინდში? ეგ-ღა მეჭირვება, შენც მიზეზად გაგიხდეს რამე.

— რაც მომივა, მომივა! გავალ, ან აქეთ შევეკითხები ვისმე, ან იქით. ასეც ხომ არ იქნება, რომ ღორები იმან ამომიწყვიტოს და პირ-იქით მე დავისაჯო და ის-კი მშრალად დარჩეს რიყეზედ. ამ სიტყვებით გავიდა გარეთ. საღამომდის არ მოსულა. საღამოზედ შემოვიდა სანო ცოტა არ იყოს გულ-დამშვიდებული და იმედმოცემული. დარეჯანმა სახეზედ შეატყო ეს და მივარდა მაშინათვე.

— რა ქენი? კაცო, შეეკითხე ვისმე, გვეშველება რამე?

— მწერალი ვნახე ჩვენი, აპა სხვას ვისა ვკითხავდი, იმისთანად ვინ იცის ასეთი საქმეები და იმან მირჩია, შენც შენი სამი ღორის დანაფასევი უჩივლეო. არზა დამიწერა და აი აქა მაქვს უბეში: ზევისათვისა ხარ დაბარებული და უნდა მივართვა სუდიასა. შენ ხომ ვერ ივლი, მე უნდა ვეთრიო შენ მაგივრად.

— ცოტას-კი დაგვჯერდებოდა, აი? ჰკითხა დარეჯანმა.

— მაშ არა და მუქთად გაგიჭრელებდა ამ არზასა. ხუთი მანეთი ეხლა მივეცი და ხუთიც მაშინ უნდა მივცე, თუ საქმეს ჩემკენ გადასწყვეტენ. ეს არზა სკივრში ჩადე.

დარეჯანმა მწარედ გაივლო გულში, თუ რა წვითა და დაგვითა ჰქონდათ ნაშოვნი ის ხუთი მანეთი, მაგრამ რალას იტყოდა და დიდის სასოებით ჩამოართვა ქმარს ქაღალდი და მძიმედ ჩასდო სკივრში; ამ ქაღალდს უნდა გამოეხსნა ისინი გაჭირვებისაგან.

ნინო ყიფიანისა.

(შემდეგი იქნება).

წლის წინად შეკრიბა თავისი „ნაწარმოები“ ლექსები და დასვენებიდამ სულ ვნახდი წარუგზავნა იგინი ერთს ცნობილს ინგლისურს ჟურნალს. რასაკვირველია, რედაქცია არ ჩქარობდა მათს დაბეჭდვას. ბოლოს, როდესაც რამდენიმე კვირა გავიდა და დედოფალი კიდევ მოუთმენლად ელოდდა პასუხს, რედაქციამ შემდეგი პასუხი გაუგზავნა“: თქვენგან გამოგზავნილმა ლექსებმა გოდრის ძირი იხილეს. გთხოვთ მეორედ აღარ გამოგზავნოთ ასეთი ლიტერატურული შრომაო.“ დედოფალი გულით იცინის ხოლმე ეხლა, როდესაც-კი მოიგონებს, და თან გონივრულად დასძენს ხოლმე: „და მეც აღვასრულე ეს გონივრული რჩევა. ავასრულე-კი არა, გადავაჭარბე კიდეც; იმ დღიდგან სრულიად უარი ვთქვი მუზათა სამსახურზედაო“.

—

ქ-ნ გორდონის სტატისტიკურ ცნობებიდგან სჩანს, რომ 1,486 ქალიდგან, რომელთაც გაუთავებიათ ინგლისში უნივერსიტეტები და უმაღლესი სასწავლებლები, მხოლოდ 200 გათხოვილა. ქ-ნი გორდონი ამბობს, რომ რამდენადაც ქალთა შორის განათლება მატულობს, იმდენად კლებულობს ქორწინებაო.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

26 სექტემბერი.

**ბრუსსელი.** გალსა და ოტტინიეს შუა ერთმანეთს დაეჯახნენ ხალხის მატარებელი და საცდელად გაშვებული ლოკომოტივი. მგზავრთაგან 18 მოკვდა, 10 დაიჭრა, ამათში მძიმედ დაშავებულია 30 კაცი. ამ მატარებელში იმყოფებოდა ბელგიის მინისტრი ბერნაერტი თავისის ოჯახობით. ბერნაერტის რძალი მოკლულ იქმნა; ქ-ნი ბერნაერტისა სუბუქად არის დაშავებული. თვით ბერნაერტი უვნებლად დარჩა.

**რომი.** პორტუგალიის მეფე ამ დღეებში ჩამოვა აქ პარისიდგან და იტალიის მეფე-დედოფალს ჰნახავს.

**მასსოვა,** 25 სექტემბერი. ჯაშუშების სიტყვით, მენელიკს გამოულაშქრნია. ქარრარის ჯარი შოაში მიდის. რას-მანგაშა საჭირო სურსათსა და მეშველ ჯარს ამზადებს. ამის გამო გენერალს ბარატიერს განზრახვა აქვს ადიგრატს თავი დაანებოს — ხელი შეუშალოს გაძლიერებას, რომ ამითი შეუძლებელ ჰყოს აბესსინელთა ერიტრეაში გადასვლა. დღეს დაიწყებს ბარატიერი კომპანიის გეგმის შესრულებას, რომელიც მან შეიმუშავა.

**სტამბოლი.** სახელმწიფოთა ელჩებმა გარდასწყვიტეს მიჰმართონ პორტას და სიტყვიერად დაეკითხნენ, რა საშუალების ხმარებას აპირებს ოსმალეთის მთავრობა ოსმალთა და სომეხთა დასამშვიდებლად, აგრეთვე უცხოელ ქრისტიანთა დასაფარავად; გარდა ამისა ელჩები მოსთხოვენ სასტიკი გამოძიება მოახდინონ უკანასკნელად მომხდარ უწესოების შესახებ.

**ტრაპიზონი.** იმის გამო რომ სომხებმა ოსმალეთის ორი დიდი მოხელე დასჭრეს, მაჰმადიანნი ქრისტეანთა უბანს დაეცნენ. წესიერება ისე აღადგინეს.

**ლონდონი.** ტანანარივადგან იუწყებიან 13 სექტემბრიდგან: „აღელვებული ხალხის ბრბო ინგლისის სასაფლაოზედ მივიდა, კუბოები დაამტვრია და მკვდრის გვამნი შეურაცხჰყო. საფრანგეთის ჯარი ძლიერ ავიწროებს ამბოხიმანგის მახლობლად მდგომარე მადაგასკარის მხედრობას. ამ ჟამად სატახტო ქალაქიდგან უკვე მოსჩანან საფრანგეთისა და მადაგასკარის ჯარები და ნათლად ისმის ზარბაზნების გრგვინვა. ფრანგებთან მოსალაპარაკებლად სადიპლომატო მისსია უკვე გამოვიდა.

27 სექტემბერი.

**პეტერბურგი.** ფინანსთა მინისტრი საზღვარ გარეთიდგან დაბრუნდა და სამინისტროს მართვა დაიწყო («პრავიტ. ვესტნ.»).

«ნოვ. ვრ.»-ს დეპეშა ვლადივასტოკიდან: „ინჟენერების სამი დასი გაემგზავრა ვლადივასტოკიდან მანჯურიაში, რათა გამოიკვლიოს მანჯურიაზე რკინის გზის გაყვანის ადგილობრივი გარემოებანი“.

**პარისი.** დიდი მთავარი სერგი ალექსანდრეს ძე 25 სექტემბერს ვიზიტად იყო პრეზიდენტ ფორთან. იმავე დღეს ფორთან იყო აოსტის დუკიც. პრეზიდენტმა გარდუხადა ვიზი დიდ მთავარსაც და დუკსაც.

მინისტრთა საბჭოში ჰანოტომ გამოაცხადა, რომ კონსტანტინოპოლიდან ახლა უფრო დასამშვიდებელი ამბავი მოდისო.

მინისტრთა საბჭომ დაადგინა 10 ოქტომბრისათვის მოიწვიოს პარლამენტი.

**პორტ-ლუი.** ბატრიმანდრში მოვიდნენ მადაგასკარის დიდოფლის შიკრიკები და მოიტანეს ამბავი, რომ საფრანგეთის ჯარს 15 სექტემბერს აუღია მადაგასკარის დედა-ქალაქი — ტანანარივა. მთავარ-მინისტრი და სამეფო ოჯახი გაქცეულან.


# განცხადებანი

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, კარანცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველდღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი,** 11—12 საათ. იმათ, ვისაც სჭირს: სნეულებანი სახირურგიო, ვენერიული და სიფილისი.

**გ. მ. ჩიქოვანი,** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ექ. ქალი ა. ი. ხოროკინ შჩერბანინისა,** 10—11 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისადა შინაგანი.

**ი. ფ. პროტასევიჩი.** 12—1 საათ. სნეულებანი: ყურ-სა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა.

**ა. ზ. კარაპეტიანცი,** 1—1½ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

სადამოობით:

**ი. ფ. პროტასევიჩი,** 5—6: სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

**ა. გ. გურკო,** 6—7 საათ. სნეულებანი: სიფილისი, ვენერიული, შინაგანი და კანისა.

**ბ. ა. ნავასარდიანი,** 7—7½ საათამდის.

**ა. გ. გურკო.** გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგების და რეცეპტის დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

**დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.**

(857—1468)

---

კბილის ექიმი
## ა. ი. ორბელი
სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16
ავადმყოფებს მიიღებს:
დილით 8-დგან 10 საათამდე.
საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.
**კვირა-უქმე დღეებში**
დილის 10 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (166—1891—1)

---

გამოვიდა კ. თავართქილაძის გამოცემული ახალი წიგნი
## სახელმძღვანელო
საღმრთო სჯულის სასწავლებლად ძველისა და ახალის ისტორიისა.
მესამე გამოცემა სურათებით.
შედგენილი და შესწორებული სამრევლო სკოლების პროგრამაზედ მღ. ნესტორ ყუბანეიშვილის მიერ.
150 გვერდი, ფასი 25 კაპ.

—

Опытъ русско-грузинскаго
## СЛОВАРЯ
ბაგაევისა.
300 გვერ., ღირს 45 კაპ.

—

**მარგალიტა გოტიე**
ალექსანდრე დუმა-შვილისა.
ფრანგულიდგან ნათარგმნი ნ. ბადრიძისა.
350 გვერ., ფასი 40 კაპ.
(10—5).

---

ახლად დაიბეჭდა და ისყიდება წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში:
ნ. ბარათაშვილის
ლ ე ქ ს ე ბ ი  დ ა  წ ე რ ი ლ ე ბ ი.
გამოცემა მეხუთე.
ფასი 40 კ.
მ ა მ ი ს  ე რ თ გ უ ლ ი.
მოთხრობა
მოზრდილის ყმაწვილებისათვის
ქრ. შმიდტისა
ფასი 15 კ.
მ ტ რ ე დ ი.
მოთხრობა
მოზრდილის ყმაწვილებისათვის.
ქრ. შმიდტისა
ფასი 10 კ.

---

ქართველთა ამხანაგობის გამოცემა.
## აღა-მაჰმად-ხანის
შემოსვლა ქ. ტფილისში,
თ. ალ. ვახტანგის ძის ჯ.-ორბელიანისა.
ფასი 25 კაპ.
იყიდება ამხანაგობის კიოსკში.

---

დ ა მ ზ ღ ვ ე ვ ი  ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ა
## „იაკორი“
(დ უ ზ ა)
უმაღლესად დამტკიცებული 1872 წელს.

რომელსაც მირითადი თანხა **2,500,000** მან. აქვს
გარდა სათადარიგო ფულისა.

## დაზღვევა ცეცხლისაგან.

მიიღება ყოველნაირი მოძრავისა და უძრავის ქონების დაზღვევა ცეცხლისაგან აგრეთვე ზღვით-მდინარით და ხმელეთით წასაღ-წამოსაღების საქონლისა.

## დაზღვევა სიცოცხლისა.

ამით აცხადებს, რომ მის მიერ მიიღება დაზღვევა სიცოცხლისა განსაკუთრებითი სასარგებლო პირობებით იმ შემთხვევისათვის, როცა შრომა აღარ შეეძლებათ.

მაგალითი: მამა, 30 წლისა, დაბადებიდგან აზღვევებს შვილის სასარგებლოდ თანხას 10,000 მან., იმ პირობით, რომ ეს ფული 21 წლის შემდეგ გადაიხადოს. ყოველ ოთხის თვის შემდეგ ამ დაზღვევისათვის ის იხდის 154 მან. იმ შემთხვევაში-კი, თუ მამა ადრე მოკვდება, თუნდ დაზღვევის პირველს წელშივე, დანარჩენ შესატან ფულის გარდახდა შეყენებულ იქნება, ყმაწვილს 20 წლის განმავლობაში მიეცემა წლიურად 500 მან. და დანიშნულ ვადის გასვლის შემდეგ-კითვით დაზღვეული თანხაც—10,000 მ.

წერილობითიგანცხადებანი დაზღვევისა მიიღებიან და ყოველგვარ საჭირო ცნობათა შეტყობა შეიძლება მოსკოვში არსებულს მმართველობაში, ვოასიის ოლქის სამმართველოში ტფილისში (ველიამინოვის ქუჩაზედ № 2), იმპერიის ყველა ქალაქების სააგენტოებში.

საზოგადოებისათვის საადვილოდ დაზღვევა შეიძლება კუკიაშიაც, სასამართლოს მე-3 განყოფილების გვერდით, საბ—ი ალელოვისა, თეოდორე ალექსანდრეს ძის ივანოვის სადგომში. (100—721—»)

---

დაიბეჭდა მეხუთე გამოცემით
## „РУССКОЕ СЛОВО“,
შედგენილი
**იაკობ გოგებაშვილის მიერ.**

ტექსტი წიგნისა უცვლელია, მაგრამ ას-ორმოც-და-ათი ახალი სურათი აქვს ჩართული, რვა საბავშვო ლექსი მეორე წიგნიდგან გადმოტანილია პირველს წიგნში და ბოლოში დამატებული აქვს წვრილი ხელის რუსული დედანი. ფასი წიგნისა ექვსი შაური, დაკაზმულისა—ორი აბაზი. ვინც ოც-და ათს ან მეტს ცალს იყიდის, წიგნი დაეთმობა ხუთ შაურად, დაკაზმული 32 კაპეიკად. (6—2).

---

## L'URBAINE
## УРБЭНЪ
## Общество Страхованія Жизни.
Невскій пр., № 13,

დაზღვეულნი პირნი დაზღვევის პირველის წლიდგანვე მიიღებენ საზოგადოების მოგების 50%, რომელიც წლის ანგარიშში იქნება ნაჩვენები.

ამასთანვე იმათ მიენიჭებათ დიდი უპირატესობანი, თუ ვინიცობაა დაუძლურდნენ და მუშაობა ველარ შესძლეს.

უმთავრესნი წარმომადგენელნი საზოგადოებისა ამიერ-კავკასიაში არიან პოლაკი და ამხ., ტფილისს, სოლოლაკის ქუჩა, სახლი გურგენოვისა, № 6.

დებულება და პირობის ფურცლები მსურველთ უფასოდ გაეგზავნებათ.

(40—18)


Дозволено цензурою, Тифлисъ 27-го Сентября 1895 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.